განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი განათლება

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

13.07.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

17.07.2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი განათლება |
| განათლების საფეხური | უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანთა ჯგუფის მასწავლებელი) - 03. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პროფესორი პეტროს პაშიარდისი, ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, კვიპროსის ღია უნივერსიტეტი, კვიპროსი. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პროფესორი, დოქტორი სტეფან ბრაუკმანი, ხარისხის განვითარებისა და ხარისხის მართვის პროფესორი კლაგენფურტის ალპენ-ადრია-უნივერსიტეტი, ავსტრია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გოდერძი ბუჩაშვილი, პრორექტორი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქ-ნ ეკატერინე კვირიკაშვილი (დამსაქმებლი ექსპერტი) |

| | |
|---|---|
| | 82 საჯარო სკოლა (თბილისი), საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქ-ნ ანჟელა აბულაძე (სტუდენტი ექსპერტი) საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წინამდებარე მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო, ბაკალავრიატის ან სამაგისტრო პროგრამა „პირველადი განათლება“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიების გამოყენებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 სემესტრი და ის მოიცავს ინტეგრირებულ 300 ECTS ქულას, რომლის შედეგია მაგისტრის ხარისხის მიღება. მისია მკაფიოდ და ლაკონურად არის განსაზღვრული უნივერსიტეტის პროგრამის დამოუკიდებელი შესწავლის ანგარიშში. ამის გარდა, პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რომელთა თავისი კურსდამთავრებულებისთვის განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სისტემატიურად იყო ჩართული პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში, აგრეთვე პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც მაქსიმალურად დახმარებას გაუწევს მომავალში პროცემის განხორციელებას. ამის გარდა, ჩატარდა მონაწილე მხარეების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

ზოგადად, შეფასების განმახორციელებელმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია უმაღლესი ხარისხის სტუდენტური მომსახურებები, რომლებიც ძალიან შემოქმედებით სასწავლო გარემოში კარგად ინსტიტუციონალიზებული და სტუქტურირებულია. ამის გარდა, არსებობს პროფესიული სწავლის კოლექტივი, რომელიც შეიქმნა, განსაკუთრებით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის. ამ სწავლის კოლექტივს უდავოდ შეაქვს წვლილი პროგრამის მთავარი მიზნების მიღწევაში მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აკადემიური კოლექტივის შექმნით. ცხადია, რომ არსებობს „ჩვენ“ კოლექტივი და არა- „მე“ კოლექტივი. ალბათ, ეს არის უნივერსიტეტის მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული ხელმძღვანელობის შედეგი (რექტორის, პრორექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის), რომლებმაც გამოავლინეს დიდი მზადყოფნა და სურვილი ცვლილებებისა და იდეების განხოციელებისა ინოვაციური პრაქტიკების მეშვეობით. მოკლედ: ისინი მართავენ მაგალითის მეშვეობით.

მატერიალური რესურსები იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა უნივერსიტეტისა და პროგრამის მისიის განსახორციელებლად და იქიდან გამომდინარე, რა ინფორმაციაც ჩვენ მივიღეთ, ცხადია, რომ ეს გააძლიერებს სასწავლებლის კომპლექსის გარემოსა და გამოცდილებას როგორც ფაკლუტეტის, ადმინისტრაციული პერსონალის, ისე სტუდენტებისთვის. აგრეთვე, უნივერსიტეტს გააჩნია დიდი პოტენციალი, მოახდინოს თავისი იშვიათი წიგნების კოლექციის კაპიტალიზაცია და უნივერსიტეტი აქციოს იმ მკვლევარებისთვის წარმატებულ ცენტრად, რომლებიც იქ მივლენ და თავიანთ კვლევას განახორციელებენ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა შეადგინა შემდეგი შეფასების ანგარიში, შემდეგის გათვალისწინებით:

1. მასწავლებელთა მომზადების იმ ინტეგრირებული საგანმანათლებლო, ბაკალავრიატის ან სამაგისტრო პროგრამისთვის „პირველადი განათლება“ დამოუკიდებელი სწავლა, რომელიც ძალიან კარგად და დეტალურად იყო დაწერილი.
2. ჯგუფის მიერ 2018 წლის 13 ივლისს ადგილზე ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაცია. ამ ვიზიტის დროს, შემფასებელი ჯგუფი შეხვდა სულ 49 პირს (უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების ხელმძღვანელებს, აკადემიურ ფაკულტეტს, მოწვეულ ფაკულტეტს, თვითშეფასების ჯგუფს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს). ჯგუფი აგრეთვე ეწვია ბიბლიოთეკას, ფაკულტეტის ლაბორატორიას, კომპიუტერულ აუდიტორიებსა და უნივერსიტეტის სხვა ობიექტებს.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
    - უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სწავლის შესახებ ანგარიშში მკაფიოდ და ლაკონურად არის ჩამოყალიბებული მისია.
    - პროგრამის მისიის შემუშავებაში წვლილი შეიტანა როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა.
    - მიზანშეწონილია მკვეთრი აქცენტი პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.
    - ზოგჯერ, პრაქტიკის განხილვას საფუძვლად არაადექვატურად ედო თეორია.

  - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
    - პროგრამის შინაარსი საფუძვლიანად არის განხილული.
    - პროგრამა იძლევა მრავალ დონეზე პოლიტიკისა და პრაქტიკის პერსპექტივებს, საკლასო ოთახიდან და ორგანიზებიდან ეროვნულ პოლიტიკამდე.
    - არსებობს მცირე დისბალანსი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული, სტუდენტებისთვის შეთავაზებულ დახმარებაში.

  - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
    - სტუდენტებში სწავლება აღძრავს ენთუზიაზმს და დაინტერესებას.
    - სტუდენტებს პედაგოგიკის მიმართ ინტერაქტიული მიდგომა სასარგებლოდ მიაჩნიათ.
    - სტუდენტებს სწრაფად და დეტალურად აცნობენ გამოხმაურებებს მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.
    - სტუდენტებს აყენებენ გამოწვევის წინაშე, რომელიც უკავშირდება მათი საკუთარი პრაქტიკის მათ სწავლასთან დაკავშირების ამოცანას.
    - სტუდენტებს კარგი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან და მასწავლებლებთან დადებით და მხარდამჭერ გარემოში.
    - სტუდენტებთან კომუნიკაცია ეფექტიანია.

  - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
    - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა არის სტუდენტების გამოხმაურებების შესაბამისი და საპასუხო.

- ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის კარგი.

- **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

  - სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციები ადექვატურზე უფრო მეტია. ფაკულტეტის პერსონალის დიდი ნაწილი ფლობს დოქტორის ხარისხს.
  - სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის დაწინაურების, აყვანისა და დანიშვნის პოლიტიკა თვითშეფასების ანგარიშში კარგადაა ჩამოყალიბებული. შესაძლოა მეტმა საერთაშორისო ჩართულობამ ყველა ამ პროცესში უზრუნველყოს პერსონალის უფრო ობიექტურად და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შერჩევა.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის ხელმძღვანელობას ესაჭიროება გაზარდოს კრედიტები უცხო ენაში 15 ECTS-დან, რომელიც ამჟამად არის, სულ მცირე, 25 ECTS, რათა სტუდენტებმა შეძლონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და კონფერენციებზე დასწრება, აგრეთვე თავიანთ სფეროში საერთაშორისო კვლევისა და განვითარებებისთვის თვალის მიდევნება.

რეკომენდებულია, რომ მოხდეს აკადემიური წერის თემაზე სწავლებების შეთავაზება, რათა აკადემიურ პერსონალს დახმარება გაეწიოს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის მოცულობის გაზრდის პროცესში. ამასთან ერთად, შეიძლება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეადგინოს იმ წამყვანი საერთაშორისო ჟურნალების სია, რომელშიც პუბლიკაციების განთავსების შეთავაზებასაც მიიღებენ აკადემიური და სხვა ფაკულტეტები.

ამის გარდა, იმისათვის, რათა უნივერსიტეტმა და პროგრამამ შეიმუშაონ საერთაშორისო პროფილი, რეკომენდებულია, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს აკადემიური ფაულუტეტის საერთაშორისო პუბლიკაციის ჩანაწერის განთავსებაზე. როგორც რექტორმა გვითხრა, ხედვა უნდა გახდეს წარმატებული საქმიანობის რეგიონული ცენტრი. ეს კეთილშობილი და რეალისტური ხედვაა, რაც დიდად გაიზრდება ჩვენი მხარდაჭერით. ამიტომ, აუცილებელი იქნება მეტი საერთაშორისო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კონფერენციების წახალისება. ამ შეთავასებასთან კომბინაციაში, გონივრული იქნებოდა მეტი მხარდაჭერის შეთავაზება მოწვეული პერსონალისთვის თავიანთი სადოქტორო სწავლების დასამთავრელად და აკადემიურ ფაკულტეტთან ერთად თანამშრომლობითი კვლევის პროცესში მონაწილეობისთვის. მხარდაჭერა შეიძლება იყოს მორალური, სოციალური და ემოციური და არა მაინცდამაინც- მხოლოდ ფინანსური.

რეკომენდებულია, რომ მონიტორინგის მექანიზმები გახდეს უფრო მოქნილი და ისინი მოიცავდნენ უკეთეს კავშირს გარე და შიდა შეფასების მონაცემებს შორის (რაც ნიშნავს იმას, რომ მეტი კავშირი დამყარდეს იმას, რასაც გარე ექსპერტი/მენტორი ამბობს სტუდენტზე-პედაგოგზე და იმას შორის, რასაც აკადემიური ფაკულტეტი ამბობს ამავე სტუდენტ-პედაგოგზე). თანამშრომლობის შესახებ ამ შენიშვნაზე, უნივერსიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ეფექტიანი პედაგოგის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც სასწავლებლებმა (სასურველია) აირჩიონ წამყვანი პედაგოგი პრაქტიკის კომპონენტისთვის. დამატებით, სწავლება გავლილმა კოლეგა მენტორებმა (მასწავლებლის სწავლების კურსის სტუდენტებმა მესამე და შემდგომი სემესტრიდან) შეიძლება მოირგონ კომპანიონის და საკონტაქტო პირის როლი პირველკურსელების ყველა შეკითხვასა და პრობლემასთან დაკავშირებით. ამგვარად,

პირველკურსელებს ეყოლებათ პირველი საკონტაქტო პირი შეკითხვებისთვის და პრობლემებისთვის მენტორებზე, სემესტრის დასაწყისშივე. ამის გარდა, სემესტრის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს რეგულარული შეხვედრები სტუდენტებსა და მათ მენტორებს შორის. ამის გარდა, შეიძლება შეთავაზებულ იქნეს თანმხლები სემინარები სტუდენტებისთვის სწავლასთან დაკავშირებულ თემებზე (მაგალითად, დროისა და სტრესის მართვა ან კვლევითი სამუშაო).

ზემოაღნიშნულთან შესაბამისობაში, დამატებით რეკომენდებულია, რომ მონიტორინგის მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ის მოიცავდეს უკეთეს კავშირს შიდა და გარე შეფასების მონაცემებს შორის, ფაკულტეტის პუბლიკაციის შესახებ ჩანაწერების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, ეს რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ უნდა მოხდეს ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებისთვის თვალის გადევნება სტატისტიკურად, რათა კვლევის გამოყენება და წარმოება გაფართოვდეს. ეს ნიშნავს, რომ მდგრადი პროფესიული განვითარება შეიძლება მიღწეულ იქნეს რეგულარული ანალიზებით, სტატისტიკითა და სწავლებებით, გამოყენების შესახებ მონაცემების უფრო სისტემატიურად შეგროვებით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ადრე. დამატებით, ეს რაოდენობრივი ანალიზები ამჟამად შეიძლება გაამყაროს მომხმარებლის კვლევამ უმთავრესად ხარისხობრივი მეთოდებით, მაგალითად, სტუდენტებისა და პედაგოგების საჭიროებების განსაზღვრისა და ჯვარედინი გადამოწმების გასაუმჯობესებლად. შემდგომ, აკადემიურ და სხვა პერსონალს შეიძლება შევთავაზოთ დახმარება ხარისხის უზრუნველყოფის და მათი ადგილზე შესრულების შესახებ ინსტრუქტაჟის მეშვეობით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რეკომენდაციის მიხედვით, კვლევითი კურსებისთვის გონივრული იქნებოდა ანალოგიური აქცენტის გაკეთება მონაცემთა ანალიზების შედგენაზე და სხვადასხვა გათვლებზე, განსხვავებით ძირითადად მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობაზე ხაზგასმაზე. ამის გარდა, კვლევის პროექტი არ უნდა იყოს ძირითადად პრობლემის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული, არამედ ამის ნაცვლად, ის უნდა იყოს უფრო მეტად პრობლემაზე აქცენტირებული შემუშავებული კვლევა; ეს გაზრდის გამოქვეყნების შესაძლებლობას და გაუწევს დახმარებას, რადგან ის ძირითადად არ იქნება ორიენტირებული საზოგადოებრივ გავლენაზე (რაც ნამდვილად იმსახურებს შექებას რეგიონული უნივერსიტეტისთვის), მაგრამ ის აგრეთვე მკაფიო აქცენტს გააკეთებს კვლევისთვის სამეცნიერო გავლენაზე, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული უფრო ფართო აუდიტორიისთვის. მაგალითად, დეპარტამენტის ერთ-ერთი აქცენტი შეიძლება გაკეთდეს კულტურათაშორის და თანამედროვე ისტორიულ შედარებითი კვლევების სფეროში ნიმუშებისა და ზემოქმედების შედეგების შესწავლაზე. ეს იძლევა პედაგოგიური ტრადიციებისა და სოციო-კულტურული ჩარჩოების მნიშვნელობის ხაზგასმის შესაძლებლობას. პრაქტიკული შესაბამისობა შეიძლება გაფართოვდეს სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის საბაზისო კვლევის დაკავშირებით ინდივიდუალურ დახმარებასთან, სასწავლების განვითარებასა და პროფესიონალიზაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებთან.

ამის გარდა, იძლევიან რეკომენდაციას, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად გაძლიერდება, თუ თქვენ ჩართავთ გარემოს ძლიერ კომპონენტს, იმ ძლიერი ბუნებრივი გარემოს გამო, რომელშიც უნივერსიტეტი მდებარეობს. ამგვარად, უნივერსიტეტმა და პროგრამამ შეიძლება მოახდინონ ამ კონკურენტული უპირატესობის კაპიტალიზაცია უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის გამო. ამავდროულად, პროგრამა მოიგებდა, თუ შემუშავდებოდა

წარმატების გაზომვის კონკრეტული ინდიკატორები, თანაც არა მხოლოდ გარემოსდაცვითი კომპონენტისთვის მთელი თავისი მრავალფეროვანი ნიშნებით.

და ბოლოს, იძლევიან რეკომენდაციას, რომ საბოლოოდ განვითარდეს სწავლების მაჩვენებელზე დამყარებული გაგება ხარისხისა მთელ სასწავლებელთან და იმ სწავლების ხარისხთან დაკავშირებით, რომელიც აუდიტორიაში ხორციელდება. უფრო კონკრეტულად, სწავლის გარემოს დიზაინი უკვე შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური და დამოუკიდებელი სწავლის პროცესების განხორციელებას. დოკუმენტირებულია ერთი სტუდენტის სწავლის პროცესი (მაგალითად, არსებობს სწავლის დოკუმენტაცია, პორტფოლიო, დამხმარე გეგმა, სწავლის დღიური, განვითარების შესახებ მსჯელობა). თუმცა, სწავლებამ უნდა გააძლიეროს ყველა სტუდენტის მონაწილეობა მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების ფარგლებში. ამიტომ, სტუდენტებისა და მათი შესაბამისი საჭიროებების მრავალფეროვნება უფრო მეტად შეიძლება აღქმული იქნეს კიდევ, როგორც სწავლებისა და სწავლის პროცესის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მიზნები ეფუძნება ერთობლივად შემუშავებელ მისიის შესახებ განაცხადს, რომელშიც აღწერილია უნივერსიტეტის პედაგოგიური პრინციპები და გათვალისწინებულია მისი კონტექსტის შესაბამისი გამოწვევები. ამის გარდა, შიდა და გარე შეფასების შედეგები შესულია პროგრამის მიზნების განახლებულ და შემდგომ გადამუშავებულ ვერსიებში. არსებობს აგრეთვე დროის განრიგის შემცველი სამოქმედო გეგმა როლებისა და პასუხისმგებლობების მატრიცით. ამის გარდა, სასწავლო პროგრამაში აღწერილია პროფესიონალური და დისციპლინათშრისო კომპეტენციების შემუშავება, განსაკუთრებით, საგნებისთვის არსებობს ჩარჩო სასწავლო პროგრამის კომპეტენციაზე ორიენტირებული დაკონკრეტებები. და ბოლოს, სხვადასხვა საგნების სწავლებისა და სწავლის მასალები ერთმანეთთან ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად არის კოორდინირებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები შიდა და გარე მონაწილე მხარეებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში ჩართულები იყვნენ აკადემიური პერსონალი, აგრეთვე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „პირველადი განათლება“ სტუდენტები, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და დამსაქმებლები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სისტემატიურად იყო ჩართული პროგრამის სწავლის შედეგის განსაზღვრაში და პროგრამაში/შემუშავების პროცესში, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მაქსიმალურად მხარდაჭერას. ამის გარდა, ჩატარდა მონაწილე მხარეების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი, რაც აისახა პროგრამის სტრუქტურაში. და ბოლოს, ჩვენს მიერ ანგარიშის, აგრეთვე სხვადასხვა მონაწილე მხარეებთან ინტერვიუების კითხვის შედეგად, მიგვაჩნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ აღწერენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც სტუდენტებს მოეთხოვებათ პროგრამის დასრულებისას, რადგან პროგრამას გააჩია სასწავლო პროგრამის მკაფიო რუკა, სადაც განსაზღვრულია სწავლის შედეგებილ შემდეგ, ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

| |
|---|
| გამოიყენება პროგრამის დასახვეწად, რაც ქმნის ძალიან ძლიერ გამოხმაურების რგოლს პროგრამის დამატებითი გაძლიერების მიზნით. აგრეთვე, რეგულარული სუბ-კონფერენციები რეგულარულად ეთმობა ჩარჩო სასწავლო პროგრამაში კომპეტენციების/სტანდარტების მიღწევას. აკადემიურ მოსწრებაზე გამოხმაურება ხდება რეგულარულად და ინდივიდუალურად, და ის ორიენტირებულია გამჭვირვალე კრიტერიუმებზე და იძლევა მინიშნებებს სწავლის შემდგომი განვითარებისთვის.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები შიდა და გარე მონაწილე მხარეებთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი ინტეგრირებული საბაკალავრო-მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „პირველადი განათლება“ სტუდენტს შეუძლია გახდეს ის პირი, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი ან ექვივალენტური განათლება შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით და რომელმაც ჩააბარა ეროვნული გამოცდები. საერთაშორისო სტუდენტები პროგრამაში შეიძლება ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** <br> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** <br> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <br> ○ |
| **შეფასება** <br> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <br> ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** <br> ეს მასწავლებლის მომზადებელის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პირველადი განათლება" შედგენილია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიების გამოყენებით. <br> პროგრამის შემუშავება - 10 სემესტრის პროგრამის სიდიდე - ჩთშ კრედიტების 300 ზოგადი განაწილება: <br> ✓ თავისუფალი კომპონენტების მოდული - 50 კრედიტი; <br> ✓ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 180 კრედიტი; <br> ✓ სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკული კვლევის მოდული - 70 კრედიტი. |

კრედიტის განაწილება პროგრამაში მოდულების შესაბამისად შემდეგნაირად ხდება:

1. თავისუფალი კომპონენტების მოდული - 50 კრედიტი, მ.შ.

- სავალდებულო - 40 კრედიტი
- არჩევითი - 10 კრედიტი

2. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 180 კრედიტი;

- საგანთა ჯგუფის სწავლების დისციპლინები - 115 კრედიტი (ყველა სავალდებულოა);
- არჩევითი მოდულის დისციპლინები - 15 კრედიტი (ყველა სავალდებულოა);
- პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები - 50 კრედიტი (ყველა სავალდებულოა);

3. სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკული კვლევის მოდული - 70 კრედიტი (ყველა სავალდებულოა).

პროგრამის სტრუქტურა შემდეგ ეტაპებადაა დაყოფილი:

1-ი ეტაპი- პირველადი (საბაზისო) ეტაპი, 1-4-ე სემესტრები ორგანიზებულია მოდულარული სწავლების სახით და ეფუძნება საგნისა და პედაგოგიურ/სწავლების საბაზისო მეთოდების ჰორიზონტალურ ინტეგრაციას. ეს ეტაპი აგრეთვე მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლისთვის სწავლების პროფესიონალის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტებს. განათლების ამ ეტაპზე, სტუდენტი ეცნობა და იღებს უნარ-ჩვევებს დაწყებითი 1-4-ე კლასების საგანთა ჯგუფში (ქართული, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) მასწავლებელზე ორიენტირებულ საკითხებში; აგრეთვე, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დარგში მნიშნელოვან საკითხებზე, რაც პროგრამის მომავალი ეტაპებისთვის კარგი საფუძველია.

მე-2 ეტაპი - საგნის არჩევის ეტაპი, მე-7-8 სემესტრები ორგანიზებულია მოდულარული სწავლების არჩევით საგნებად. ამ ეტაპზე, სტუდენტი ეცნობა და ეუფლება დაწყებითი მე-5-6-ე კლასების სასურველი საგნიდან ერთ-ერთს შემდეგთა შორის: ქართულის, მათემატიკის, ბუნებრივი მეცნიერებების მასწავლებელზე ორიენტირებული შეკითხვები საგანგებოდ ორგანიზებულ მოდულებში.

მე-3 ეტაპის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის ფაზა, მე-8-9-10 სემესტრებში ორგანიზებულია სწავლის მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებული პრაქტიკები, მაგალითად:

- პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, მართვის კომპონენტები, კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობა პროფესიული თვითგანვითარებისა და სწავლისა და

| |
|---|
| სწავლების ხარისხის გასაზრდელად. ეს ეტაპი არის სპეციალიზაციის მთავარი ეტაპი, როცა სტუდენტს მე-8 სემესტრის განმავლობაში აქვს სასკოლო პრაქტიკა დაწყებით 1-4-ე კლასებში, სტუდენტს, რომელმაც გაიარა წინა სემესტრებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები, უფლება ეძლევა გაიაროს პრაქტიკა, მე-9 სემესტრის განმავლობაში, მას აქვს პრაქტიკა დაწყებით მე-5-6 კლასებში მის მიერ შერჩეული ერთ-ერთ მოდელში შემდეგ საგნებს შორის: ქართული, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; სასკოლო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაა წინა სემესტრის პრაქტიკის წარმატებით გავლა. მე-9-10 სემესტრის ეტაპზე, პრაქტიკის კვლევის კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტი, სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს პრობლემას/საჭიროებებს, აანალიზებს, გეგმავს, ახორციელებს და აფასებს სათანადო ჩარევას, მათი ეფექტიანობის განხორციელებას და შეფასებას, მას წარადგენს კვლევის შესახებ ანგარიშთან და სამაგისტრო დისერტაციასთან ერთად. სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო დისერტაციაზე, თუ მან გაიარა და დაასრულა სასწავლო პროგრამის (კურსების) საგანმანათლებლო კომპონენტები (270 ECTS ). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამის ხელმძღვანელობას ესაჭიროება გაზარდოს კრედიტები უცხო ენაში 15 ჩთშ-დან, რომელიც ამჟამად არის, სულ მცირე, 25 ECTS, რათა სტუდენტებმა შეძლონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და კონფერენციებზე დასწრება, აგრეთვე თავიანთ სფეროში საერთაშორისო კვლევისა და განვითარებებისთვის თვალის მიდევნება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>კვლევითი კურსებისთვის, მიზანშეწონილი იქნებოდა ერთნაირი აქცენტის გაკეთება მონაცემთა ანალიზებისა და სხვადასხვა გამოთვლების ჩატარებაზე, განსხვავებით ძირითადად მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობაზე ხაზგასმისგან. ამის გარდა, კვლევის დიზაინი არ უნდა იყოს ძირითადად პრობლემის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული, არამედ, ამის ნაცვლად, ის უნდა იყოს უფრო მეტად პრობლემაზე ორიენტირებული კვლევა; ეს გააძლიერებს გამოქვეყნების შესაძლებლობას და დახმარებას გაუწევს, რადგან ის არ იქნება ძირითადად საზოგადოებაზე გავლენაზე ორიენტირებული (რაც ნამდვილად შექებას იმსახურებს რეგიონული უნივერსიტეტის მისამართით), მაგრამ ის |

აგრეთვე ძლიერ აქცენტს გააკეთებს კვლევის სამეცნიერო გავლენაზე, რომელიც მნიშვნელოვანია საერთაშორისო და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული უფრო ფართო აუდიტორიისთვის. მაგალითად, დეპარტამენტის ერთ-ერთი აქცენტი შეიძლება გაკეთდეს კულტურათაშორის და თანამედროვე ისტორიულ შედარებითი კვლევების სფეროში ნიმუშებისა და ზემოქმედების შედეგების შესწავლაზე. ეს იძლევა პედაგოგიური ტრადიციებისა და სოციო-კულტურული ჩარჩოების მნიშვნელობის ხაზგასმის შესაძლებლობას. პრაქტიკული შესაბამისობა შეიძლება გაფართოვდეს სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის საბაზისო კვლევის დაკავშირებით ინდივიდუალურ დახმარებასთან, სასწავლების განვითარებასა და პროფესიონალიზაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებთან.

პროგრამა აგრეთვე ძალიან გაძლიერდება, თუ თქვენ მასში ჩართავთ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ძლიერ კომპონენტს, იმ მნიშვნელოვანი ბუნებრივი გარემოს გამო, რომელშიც უნივერსიტეტი მდებარეობს. ამგვარად, უნივერსიტეტმა და პროგრამამ შეიძლება მოახდინონ ამ კონკურენტული უპირატესობის კაპიტალიზაცია უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის გამო. ამავე დროს, პროგრამა სარგებელს მიიღებს იმის უფრო კონკრეტული მაჩვენებლებიდან, რაც წარმოადგენს გაზომვად წარმატებას, არა მხოლოდ მისი ყველა სხვადასხვა ფაქტორის გარემოსთან დაკავშირებული კომპონენტისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები შეესაბამებიან საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები ერთმანეთისგან არის მიღებული, ისინი შეესაბამება შინაარსს და აქცენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე. ზოგადი განათლების საწყისი საფეხურისთვის ინტეგრირებული საბაკალავრიატო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის სწავლების სწავლის შედეგების განსაზღვრა ხდება დარგობრივი მახასიათებლების მეშვეობით, ხოლო სასწავლო კურსებისა - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მეშვეობით.

კურსების სასწავლო პროგრამები არის კარგად სტრუქტურირებული და სტუდენტზე ორიენტირებული და ისინი მოიცავენ შემდეგ ინფორმაციას: კურსის სახელწოდება, კურსის სახეობა, იმ კრედიტების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება სწავლების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, კურსის ხელმძღვანელობას, კურსის მიზანს, კურსის ფორმატს, სწავლის შედეგებს (რაც, თავის მხრივ, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლების/სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, სწავლება და სხვა რესურსები.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5, 10 და 15 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. იგივე პრინციპი იქნა გამოყენებული 5-კრედიტიანი სასწავლო კურსისთვის, ზოგიერთი განაწილების შემთხვევაში- 45 საათი და ზოგიერთ შემთხვევაში- 60 საათი. ეს კურსები მოითხოვენ უფრო მეტ საკონტაქტო საათებს (მაგალითად, ინგლისური ენა, საკლასო მართვა და ეფექტიანი კომუნიკაცია, სწავლის პროცესის დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები, და ა.შ.). განაწილდა 60 საათი, სასწავლო კურსებისთვის, სადაც მეტი დრო საჭირო იყო კურსების შინაარსისთვის აუცილებელი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის და სწავლის შედეგების მისაღწევად, მოხდა 45 საკონტაქტო საათის განაწილება.

პირველადი და გამოყენებული სახელმძღვანელოები და ლიტერატურა მეთოდოლოგიის შესახებ, რომლებიც განახლდა, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით გამოიყენება პროგრამის განსახორციელებლად, კვლევის სულ ბოლო შედეგებთან ერთად, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;

| |
|---|
| ○ სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სწავლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო დისერტაციის თემებს წარმოადგენს სასკოლო პრაქტიკის პერიოდში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები, სკოლის საჭიროებები ან/და სტუდენტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ეს თემები სრულიად ასახავს სტუდენტის |

პრაქტიკის შინაარს, მოიცავს სტუდენტის მიერ შესრულებულ თეორიულ მიმოხილვას, ინოვაციურ მიდგომებს, კვლევის მეთოდოლოგიას და ა.შ. სამაგისტრო დისერტაცია არის პროგრამის საბოლოო კომპონენტი და სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩაერთვებიან აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ კვლევაში თავიანთი ინტერესების რეალიზაციისთვის.

სასკოლო პრაქტიკის პერიოდში მნიშვნელოვანი პრობლემები, სკოლის საჭიროებები ან/და მნიშვნელოვანი საკითხები სტუდენტისთვის არის საგნები სამაგისტრო დისერტაციისთვის, რომელიც სრულად ასახავს სტუდენტის პრაქტიკის შინაარსს, მოიცავს სტუდენტის თეორიული მიმოხილვას, ინოვაციურ მიდგომებს, კვლევის მეთოდოლოგიას და ა.შ. სამაგისტრო დისერტაცია არის პროგრამის საბოლოო კომპონენტი და სტუდენტის კვალიფიკაციის წინაპირობა. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის „იერარქია" უზრუნველყოფს განსხვავებულ კონტექსტებში თეორიული ცოდნის სათანადო გამოყენებას, კერძოდ, ქვემოთ მოცემულ დისციპლინებში ცოდნის გადაცემას: ქართული, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. სტუდენტი იძენს ცოდნას საგნის შესახებ, შემდეგ ეს ცოდნა უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესს, რაც საბოლოოდ ეხმარება პედაგოგს თავისი კომპეტენციის განვითარებაში. და ბოლოს, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში დასახმარებლად, ფაკულტეტზე არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიის სწავლების მეთოდოლოგიის ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია „ტემპუსის" საგრანტო პროექტის ფარგლებში. დოკუმენტი დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუების დროს. და ბოლოს, პროგრამა სტუდენტებს აძლევს მათი კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების საკმარის შესაძლებლობებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა);
- სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
- სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები;

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებული, რომ მონიტორინგის მექანიზმები გახდეს უფრო მეტად მოქნილი და მათში აისახოს გარე და შიდა შეფასების მონაცემებს შორის უფრო მეტი შესაბამისობა (რაც ნიშნავს იმას, რომ უფრო მეტი კავშირები გამოიძებნოს გარე ექსპერტი/მენტორის მიერ სტუდენტის/პედაგოგის შესახებ ნათქვამსა და აკადემიური ფაკულტეტის მიერ, მის შესახებ ნათქვამს შორის). მაგალითად, სწავლება გავლილი კოლეგა მენტორები (მასწავლებელი, რომელიც სტუდენტებს ამზადებს მესამე სემესტრიდან დაწყებული და შემდგომ)

| |
|---|
| ასრულებენ კომპანიონებისა და საკონტაქტო პირების ფუნქციას პირველკურსელების ყველა შეკითხვასა და პრობლემებთან დაკავშირებით. ამგვარად, პირველკურსელებს ეყოლებათ პირველი საკონტაქტო პირი შეკითხვებისთვის და პრობლემებისთვის მენტორებზე, პირდაპირ სემესტრის დასაწყისში. ამის გარდა, სემესტრის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს რეგულარული შეხვედრები სტუდენტებსა და მათ მენტორებს შორის. ამის გარდა, შეიძლება სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნეს თანმხლები სემინარები სწავლასთან დაკავშირებულ თემებზე (მაგალითად, დროისა და სტრესის მართვა ან სამეცნიერო მუშაობა). თანამშრომლობის შესახებ ამ შენიშვნაზე, უნივერსიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ეფექტიანი პედაგოგის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც სასწავლებლებმა (სასურველია) აირჩიონ წამყვანი პედაგოგი პრაქტიკის კომპონენტისთვის. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მონიტორინგის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სწავლა/სწავლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტო პროგრამის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა კომპონენტებში ისინი იყენებენ სხვადსხვა მეთოდებს, მათ შორის მასწავლებლის განათლებაში იმ სერთიფიცირებული სწავლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამებიან კურსის მიზნებს, აქცენტს აკეთებენ სწავლის შედეგებზე და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას.<br>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „დაწყებითი განათლება“ სწავლის შედეგები დაწყებითი კლასების მასწავლებლისთვის განსაზღვრავენ მის ცოდნას შესაბამის საბაზისო დისციპლინებში (შინაარსი და ორგანიზება) მნიშვნელოვან პედაგოგიურ საკითხებზე აქცენტის გაკეთებით. ზემოაღნიშნული საშუალებები არის მხოლოდ შესაბამისი განათლების მეთოდების ნაკრები პრაქტიკაში პროგრამის შინაარსის გადასატანად. ამ პროგრამაში, სწავლების/სწავლის დამახასიათებელი ნიშანი არის სასკოლო პრაქტიკა, რომელსაც „დახმარებას უწევენ“ სხვა სახის სწავლის ფორმატები, მაგალითად, ლექცია/სემინარი/პრაქტიკული სწავლება, განხილვა ექსპერტთა ფორუმის/დებატების ფარგლებში, პედაგოგიური უნარ-ჩვევები/უნარ-ჩვევებში ტრეინინგი ან/და სასკოლო პრაქტიკაში.<br><br>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა.<br>○ |
